რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის

ბროშურა მოამზადა და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით.

დასაქმების პორტალები:

www.worknet.gov.ge - აღნიშნული პორტალი წარმოადგენს დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ელექტრონულ ვებ-გვერდს, სადაც საჭიროა რეგისტრაციის გავლა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ სასურველი ვაკანსიის მოძებნას. Worknet არის მრავალფუნქციური საინფორმაციო პორტალი, რომლის დანიშნულებაა ქვეყნის მასშტაბით:

- სამუშაოს მაძიებლების რეგისტრაცია და მონაცემთა კომპიუტერული ბაზის შექმნა;
- დამსაქმებლების რეგისტრაცია და მათ მიერ ვაკანსიების განთავსება;
- განათლების მომწოდებლების რეგისტრაცია და სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის განთავსება;
- დასაქმების სფეროში საშუამავლო ფუნქცია.

გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული საიტი ამ ეტაპზე რეკონსტრუქციის პროცესშია და მისი ყველა კომპონენტი ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს. სამუშაოს მაძიებლების რეგისტრაცია და მათი დასაქმებისათვის საშუამავლო მომსახურების შეთავაზება ამ ეტაპზე აქტიურად ხდება. პორტალზე რეგისტრაცია დაგეხმარებათ დასაქმებაში და მოგცემთ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოთ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების სახელმწიფო პროგრამაში", ვინაიდან პროგრამის მონაწილეთა შერჩევა სწორედ Worknet-ზე დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებიდან ხდება. აღსანიშნავია, რომ Worknet-ზე რეგისტრაცია და მომზადება/გადამზადების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა სამუშაოს მაძიებლისთვის უფასოა. Worknet-ზე რეგისტრაცია შეგიძლიათ მარტივად, სახლიდან გაუსვლელად, თუ გაქვთ ინტერნეტთან წვდომა.

www.hr.ge - პორტალი, სადაც შესაძლებელია არა მხოლოდ ვაკანსიების ძებნა, არამედ საკუთარი პროფესიის და სამუშო გამოცდილების შეთავაზებაც. აღნიშნულ პორტალზე შესაძლებელია ორგანიზაციის დარეგისტრირება და კონკრეტული ვაკანსიის შეთავაზება, რათა სამუშაოს მაძიებელმა ადვილად ნახოს მისთვის სასურველი სამუშაო. პორტალზე სამსახურის ძებნა არამარტო საქართველოს მაშტაბით, არამედ აზერბაიჯანის და ყაზახეთის სამუშაო ბაზარზეც არის შესაძლებელი.

www.jobs.ge - ამ ეტაპზე, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინტერნეტ-გვერდია ქვეყნის ფარგლებში. იგი ასევე მოიცავს ყველაზე ფართომასშტაბიან ელექტრონულ დაგზავნას, სადაც ქვეყნდება განცხადებები ვაკანსიების, ტრენინგების, გაცვლითი პროგრამების, გრანტებისა და ტენდერების შესახებ.

პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსები დასაქმების ხელშესაწყობად

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს პროფესიული მომზადება-გადამზადების

მოკლევადიან კურსებს, რომელებიც ითვალისწინებს დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების პროფესიული ცოდნის ამაღლებას, შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

საზღვარგარეთ გამგზავრებამდე გქონდათ ძველი შრომის წიგნაკი, სამშობლოში დაბრუნებისას ინარჩუნებს თუ არა ძალას აღნიშნული შრომის წიგნაკი?

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებამდე (რომელთა მიხედვითაც გაუქმდა შრომის წიგნაკები) გაცემული შრომის წიგნაკები ინარჩუნებენ ძალას. ამასთან, ახალი შრომის წიგნაკები აღარ იწარმოება.

როგორ დარეგისტრირდეთ საჯარო სამსახურის ბიუროს პორტალზე?

რეგისტრაციისთვის უნდა შეხვიდეთ შემდეგ ბმულზე: www.hr.gov.ge სადაც გაივლით მარტივ კითხვარს და შეძლებთ თქვენი რეზიუმეს (ავტობიოგრაფია) შექმნას, აღნიშნული საფეხურების გავლის შემდეგ, გააგზავნით განაცხადს დამსაქმებელთან. განაცხადი გაგზავნილად ითვლება მას შემდეგ, რაც დაინახავთ შესაბამის სისტემურ შეტყობინებას - „განაცხადი გაკეთებულია“. შეტყობინების გამოჩენა იმის მანიშნებელია, რომ თქვენ მიერ გაკეთებული განაცხადი მიეწოდა დამსაქმებელს. ყველა ვაკანსიას მითითებული აქვს განაცხადების მიღების ბოლო ვადა. ჩვეულებრივ, დამსაქმებლების მიერ განაცხადების განხილვა სწორედ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ იწყება. საშუალოდ ამ პროცესს ერთი კვირიდან ერთ თვემდე სჭირდება, კონკრეტული ორგანიზაციის სპეციფიკისა და მიღებული განაცხადების რაოდენობიდან გამომდინარე. თქვენ მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აუცილებლად მიიღებთ წერილობით შეტყობინებას რეგისტრაციის დროს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

გსურთ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებაში სტაჟირების გავლა?

სახელმწიფო დაწესებულებაში სტაჟირება მიზნად ისახავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის ისეთი პროფესიული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას, რაც აუცილებელია საჯარო მოხელისთვის. პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, სტაჟირება ატარებს ერთჯერად ხასიათს, რათა მეტმა სტუდენტმა/კურსდამთავრებულმა მიიღოს საკუთარი საგანმანათლებლო პროფილის შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.

იმისათვის, რომ გაიაროთ სტაჟირება, უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა იყოთ საქართველოს მოქალაქე;
- უნდა სწავლობდეთ სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო

პროგრამების განმახორციელებელ უნივერსიტეტში, იყოთ ამ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, მაგისტრანტის ან დოქტორანტის ხარისხის მქონე პირი და უნდა გამოირჩეოდეთ მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება GPA-თი ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (მინიმუმ (B) ძალიან კარგი 81-90%);

- სტაჟირების გავლის შესაძლებლობა აქვთ, აგრეთვე, იმ კურსდამთავრებულებსაც, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნული მაღალი აკადემიური მოსწრების მოთხოვნებს და მათი სწავლის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელზე მეტი.

სახელმწიფო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია დარეგისტრირდეთ ონლაინ შემდეგ მისამართზე: www.stajireba.gov.ge

როგორ გაიაროთ რეგისტრაცია?

ნაბიჯი I
სტაჟირების საიტის (stajireba.gov.ge) მთავარ გვერდზე ხსნით აქტივაციის პანელს, შეგყავთ პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი;

ნაბიჯი II
ანგარიშის გასააქტიურებლად ამოწმებთ ელექტრონულ ფოსტას, სადაც გამოგეგზავნებათ აქტივაციის ბმული;

ნაბიჯი III
აღნიშნულ ბმულზე გადასვლით ანგარიში გააქტიურებულია და ავტორიზაციის გრაფაში შეგყავთ უკვე მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი.

დავრეგისტრირდი სასურველ უწყებაში. როგორ ვუკავშირდები დაწესებულებას?

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, თქვენ 10 დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეთ არჩეულ დაწესებულებაში და სტაჟირების ადგილზე გაიაროთ რეგისტრაცია, დამატებითი კითხვების შემთხვევაში კი, უნდა დაუკავშირდეთ უშუალოდ ამ უწყების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით ამოიწურა ყველა ვაკანსია, როგორ მოვახერხოთ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა?

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომის (სექტემბერის) და გაზაფხულის (მარტის) ნაკადების მეშვეობით. თუ

ამ ეტაპზე ვერ ირჩევთ სასურველი მიმართულების ვაკანსიას, შეგიძლიათ არჩევანი გააკეთოთ სტაჟირების შემდგომი ნაკადის ფარგლებში.

გაითვალისწინეთ:

იმ შემთხვევაში, თუ ვერ დარეგისტრირდით საიტზე, დაუკავშირდით საჯარო სამსახურის ბიუროს, სტაჟირების სახელმწიფო პროგრამისთვის განკუთვნილ ცხელ ხაზზე: (+995 32) 2 19 77 55.

არის თუ არა სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა საჯარო სამსახურში (დაწესებულებებში) სტაჟირების გავლის ერთადერთი შესაძლებლობა?

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა არ არის ერთადერთი შესაძლებლობა საჯარო სამსახურში (დაწესებულებებში) სტაჟირების გავლისთვის. მიზნობრივი პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ პროექტს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის შესაძლებლობის შექმნას.

აქვს თუ არა საჯარო დაწესებულებას უფლება დააწესოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები?

საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესაბამისად, საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს დააწესოს დამატებით კრიტერიუმად უცხო ენის ცოდნა, მხოლოდ სტაჟირებისთვის განკუთვნილი ვაკანსიების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ითვალისწინებს თუ არა სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა დასაქმებას?

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს საჯარო სამსახურში სტაჟირების გავლის შესაძლებლობას პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, რაც სტაჟირებაგავლილ პირს გახდის კონკურენტუნარიანს საჯარო სამსახურში დასაქმებისას.

შესაძლებელია თუ არა სტაჟირების გავლა თქვენი სურვილის მიხედვით შერჩეულ კერძო დაწესებულებაში?

2015 წლიდან, პირველად საქართველოში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ახორციელებს საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამას, სადაც შესაძლებელია თქვენი სურვილის მიხედვით დარეგისტრირდეთ და შეარჩიოთ სასურველი სტაჟირების პროგრამა (სამი თვის

ვადით, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით). აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე (ან მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოში ბინადრობის უფლებით);
- უწყვეტად იმყოფებოდეთ საზღვარგარეთ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ გქონდეთ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე;
- თქვენი საქართველოში დაბრუნებიდან არ არის გასული 1 წელი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ შემდეგ ნომერზე:

(+995 32) 2 43 11 00 (+995 32) 2 31 13 37 reintegration@mra.gov.ge

რა უნდა იცოდეთ საქართველოში შრომითი ხელშეკრულების დადების დროს?

- შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ;

- შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული,ან განუსაზღვრელი ვადით. წერილობითი ფორმის შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. ასეთ დროს, ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავებას;

- შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით, ხოლო რაც შეეხება დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობას, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, იგი არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი

ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს – კვირაში 48 საათს. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს. 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა კი, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს.

შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

- შესასრულებელი სამუშაო;
- შრომის ანაზღაურება;
- დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები;
- ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის წესი და ვადა;
- მივლინების წესი და ანაზღაურების პირობები;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების წესი და ანაზღაურების პირობები და ა.შ.
- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, შესასრულებელი სამუშაოს, შრომის ანაზღაურების და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გარდა, შეიძლება განისაზღვროს ორგანიზაციის მიერ დადგენილი შრომის შინაგანაწესით;
- შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

გაითვალისწინეთ: საჯარო დაწესებულებებში შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ" (სსიპ-ებში შრომის კოდექსით რეგულისრდება), ხოლო კერძო სექტორში, ასევე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადმინისტრაციასა და დასაქმებულს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 მარტის N81 დადგენილებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის მოვალეობებში შედის ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების არსებული პირობების ინსპექტირება, შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის პრევენცია და ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

„რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის“ პუბლიკაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
- იუსტიციის სამინისტროს / სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურსოფლის მეურნეობის სამინისტროს

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

გიორგი გოგიშვილი
ქეთი აბულაშვილი
ზვიად დევდარიანი

www.cida.ge www.fb.me/cidacso